1877—1895

№ 147

ხუთშაბათი, 13 ივლისი 1895

# ივერია

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

№ 147

ხუთშაბათი, 13 ივლისი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ვ ე ქ ი ლ ი ვ ა რ

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოგვმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

ტფილისი, 13 ივლისი.

—

**უვიცის ისტორიული აბდა-უბდა.**

„ტფილ. ფურც.“-ის გუშინდელ ნომერში მოწინავე წერილად დაბეჭდილია უკანასკნელი აოხრება ჩვენის დედა-ქალაქის ტფილისისა. ეს აოხრება მოევლინა ჩვენს ქალაქს აღა-მაჰმად-ხანისაგან, რომელიც პირადი მტერი იყო მეფის ერეკლე მეორისა. წერილის ავტორი ამბობს, რომ შთამომავლობამ არ უნდა დაივიწყოს გმირნი, რომელთაც სისხლი დაღვარეს მტერთან ბრძოლის დროს, გმირთა სახელი საუკუნოდ უნდა აღიბეჭდოს ხალხის ხსოვნაში, დაუვიწყარი ძეგლი უნდა აეგოს და ეს წმიდა მოვალეობა ქალაქის საბჭომ უნდა იტვირთოსო... რასაკვირველია, ეს წადილი და განზრახვა მეტად საქებარი და სამართლიანია, მაგრამ უბედურება ის არის, რომ წერილის ავტორს სრულიადაც არა სცოდნია—ვინ იყვნენ ის დაუვიწყარნი გმირნი, რომელთა სახელი არასოდეს არ უნდა აღმოიფხვრას ტფილისის მკვიდრთა გულსა და სულში. ,,ტფ. ფურც.“-ს პუბლიცისტს და არა-მკითხე ისტორიკოსს წარმოუდგენია, ვითომ აღა-მაჰმად-ხანის მრისხანე ლაშქარს შეებრძოლა ტფილისის დასაცველად მხოლოდ ერთი მუჭა სომხობა... და ამოდენივე ქალაქის თათრობა და ქართველობა. უეჭველია, რომ ამ უცნაურის ისტორიკოსის აზრით, გმირნიც ამ სომხობაში უნდა ვეძიოთ. ქართველობა და თათრობა აქ სიტყვის მასალად არის ნახმარები. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ ისტორიკოსს არც ის დაავიწყდებოდა, რომ ტფილისის სომხობა, მტერთან შებმის მაგიერ, ქალაქიდგან გაქცევას აპირებდა და თათრობა კიდევ იდუმალი მომხრე იყო აღა-მაჰმად-ხანისა. ისტორიკოსი გვაუწყებს, რომ მეფე ერეკლემ უნუგეშოდ და უმწეოდ დასტოვა ტფილისი და მთაში გაიქცაო... დიაღ, ვითომ ასე მოიქცა ის „გმირთა-გმირი“ მეფე, რომელიც კრწანისის ბრძოლის დროს მტრის ლაშქარში თავისის მცირე ამალით ხმალ-დახმალ გადაერია და ცოტა გაწყდა კინაღამ აღა-მაჰმად ხანის ბანაკს არ უწია. ნამდვილი და შემოწმებული ამბავია, რომ მეფე ერეკლე ძალად და დიდის ხვეწნა-ვედრებით გამოაბრუნეს ბრძოლის ადგილიდგან, სადაც ირგვლივ შემორტყმული მტერი მზად იყო დაენთხია გვირგვინოსანის სისხლი.

თუ ვინმე კრწანისის ბრძოლისათვის ღირსია ძეგლისა, რასაკვირველია, პირველად ძეგლი უნდა დაედგას მეფე ერეკლეს, რომელმაც თავისის ვაჟკაცობით და სამხედრო გამჭრიახობით მტერი გაანცვიფრა და თავზარი დასცა. მართალია, მეფე დამარცხდა, მაგრამ ამის მიზეზი ჯარის სიცოტავე იყო. სამოც-და-ათი-ათასს ლაშქარს გულოვანი და შეუდრკელი მეფე ხუთი-ათასის კაცით გაემკლავა. გამოჩენილნი სარდალნი, ბატონიშვილნი ვახტანგი და დავითი, ლომებრ უშიშარი და მძლავრი ორბელიანი და სხვანი მეფესთან ერთად მუსრს ავლებდნენ მტრის ლაშქარს. ბრძოლის დროს იყო ისეთი წამიც, როცა აღა-მაჰმად ხანს ჰსურდა ბანაკი აეშალა და გაქცეულიყო, მაგრამ ლაშქრობის ღმერთმა სხვაფრივ ინება... ან რას გააწყობდა მცირედი ქართველი ჯარი ურიცხვ მტერთან!

მართალია, მეფე ერეკლე მთაში გაიქცა, მაგრამ ეს მაშინ მოხდა, როდესაც ბრძოლა გათავდა და ქართველმა ჯარმა თავი შეაკლა გამძაგებულს მტერს. ,,ტფ. ფურც.“-ის ისტორიკოსი-კი ბრძანებს, მეფემ ტფილისს შემწეობა არ აღმოუჩინა და ქალაქიდგან გაიქცაო! არა გვგონია, ამისთანა ისტორიკოსის და პუბლიცისტის ჩაგონებით დადგმული ძეგლი ვისთვისმე სანატრელი იყოს. რასაკვირველია, ამისთანა ძეგლს მეფე ერეკლეს აჩრდილიც ითაკილებდა. არა, ძეგლის აღმართისათვის უნდა იზრუნონ სხვებმა და არა იმათ, რომელთაც ტფილისის ჭირისუფლად აწინდელი საბჭო მიაჩნიათ!..

Z.

—◆◆—

## ახალი ამბავი

—

*** ამ ბოლო დროს ტფილისში ხშირი წვიმებია და გრილა.

*** «ნაძალადეველების» ბედ-იღბალი იქნება ეხლა მაიც გამოირკვეს. როგორც ვუწყით, ქალაქის საბჭომ წარსულს თვეში დაადგინა მოაგვაროს როგორმე საქმე იმათთან, რომელთაც ქალაქის მიწები აქვს დაჩემებული, და ეს საქმე ქალაქის გამგეობას მიანდო. ქალაქის გამგეობამ თავისის პირველ ივლისის სხდომაზედ დაადგინა: მიენდოს ქალაქის მდივანს ს. თ. ჰრელაშვილს განიხილოს გამგეობაში შემოტანილი არზები ქალაქის მიწების იჯარით აღების შესახებ, გამოიძიოს, რა ოჯახობრივი და ქონებრივი მდგომარეობა აქვთ მთხოვნელებს, დაჰყოს ისინი რიგ-რიგად, ქალაქის მიწის-მზომელის შემწეობით გამოარკვიოს, რომელი აწ აგებული შენობა „ნაძალადევის უბნისა“ შეიძლება ხელშეუხებლად დატოვებული იქმნას ადგილების განაწილების დროს, რომელი უნდა დაიქცეს და რომელთა დატოვება შეიძლება ხუთის წლის ვადით, როგორც საბჭოს დადგენილებაშია ნათქვამი. აგრეთვე მანვე გამოარკვიოს პირველი რიგი ადგილებისა, რომელთა იჯარით გაცემა ეხლავე უნდა მოხდეს.

იმედია, რომ „ნაძალადეველები“ ეხლა წარუდგენენ ბ-ნს ქალაქის მდივანს საჭირო ცნობებს და ამით დააჩქარებენ ამ მიწების იჯარით აღების საქმეს.

*** ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა ამა 12 ივლისს მოწერილობა წარუგზავნა ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელს ა. ა. ივანენკოს, საგანგებო კრება მოიწვიეთ საბჭოსი იმ საგნის განსახილველად, რომ ქალაქმა თითონ იკისროს გზა-ტკეცილის გაყვანა კოჯორის აღმართზედ ამაღლების ეკკლესიიდგან დაწყებული სოფ. ოქროყანის შორეულ დუქნამდეო. საყურადღებოა ვიცოდეთ, როგორ უნდა შესდგეს ეს საგანგებო კრება, როდესაც ხმოსანთა ჰაჭანებაც არ არის ტფილისში და უმეტესობა მათგანი თვით კოჯორში არიან.

*** ორშაბათს, 17 ივლისისათვის, დილის 11 საათზედ ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის კანცელარიაში დანიშნულია საგუბერნიო საქალაქო საქმეთა საკრებულოს სხდომა გორის საბჭოსათვის ახალ რწმუნებულთა ამორჩევის საქმის შესახებ. როგორც

# ფელეტონი

—

***

მოჰკლეს!.. გასწირეს ერთგული,
თვისს ხალხის ჭირისუფალი,
სამშობლო გაჭირვებული
ვინც რომ ჰყო თავისუფალი!..
მოჰკლეს, დასტანჯეს, აწამეს,
ადრე გაუჭრეს სამარე,
მზაკვართ გალობა იწამეს,
დაჰგმეს, უარ-ჰყვეს მოყვარე;
დასცეს თავ-გადაჩეხილი,
დაუსახიჩრეს სახება!..
მაგრამ ნეტავ მას—სიკვდილი
როდი ჰკლავს, როდი ეხება;
მას ცა თვისს კალთას აფარებს,
ვერ მოერევა მრავლობა,—
მას ასულდგმულებს, ახარებს
ცისა და ქვეყნის გალობა;
ცისა მნათობნი ელვარეს
სხივთა მოჰფენენ ქვეყანას,
თავ-დადებულის სამარეს
ხალხის ხმა ეტყვის ტკბილს „ნანას“,
ნაკლთა შეუნდობს გულითა,—
მეტი მიუძღვის მადლია:
იმედით აღგზნებულითა
თვით-მნებელობა დასძლია!
ძეგლსა აუგებს, შემოსავს,
ალერსით დააძინებსა
და ისტორია მოჰმართავს
საშვილი-შვილო სიმებსა,—
მისი ხსენება, სახელი
ხალხის გულს დაეწერება,
თავ-მოსაწონად სათქმელი
ყრმათ ნატვრით დაემღერება;
კეთილი ბოროტს დაამხობს,
გაიფანტება წყვდიადი,—
და მაშინ მისს ძეგლს შეამკობს
შარავანდედი დიადი!..
მაშ სთქვით, ვერაგნო, ერთგული
რად მიაბარეთ სამარეს?
ხომ არ გსურთ დანაშაული
გადააბრალოთ მთელს მხარეს?
ვერა!.. მარტო თქვენ მაგაში
ის მოგთხოვთ პასუხს ღმერთთანა,
არ ურევია ცოდვაში
თქვენი პატარა ქვეყანა:
კარგად ვსცნობთ ბოროტს, მტერს
და მკვლელს,
ურწმუნოს, ურცხვს და წყეულსა,
მისაკან ვარჩევთ მოცრემლეს
და გულ-მკერდ ჩამოხეულსა...
ოჰ, ცამ დაგწყევლოთ, მტარვალნო,
ალვსილნო ბოროტებითა,
ქვემძრომნო, ქვეყნად მავალნო,
საჯოჯოხეთო გზებითა!
დაგსეტყვოთ ღმერთმან ცეცხლითა,
გულ-გრძნობა მოწამლულებო,
იუდასავით ვერცხლითა
მონებად მოსყიდულებო!..

გრ. აბაშიძე.

—◆◆—

**კაპიტალიზმის ბედი ზოგიერთ ქვეყნებში.**

გუძღვნი ჩვენს მარქსისტებს.

(შემდეგი *).

IV

„კვალის“ 22 №-ში ბ-ნი ფ. მახარაძე ცდილობს გამოარკვიოს, ახსნას თვისება კაპიტალიზმისა. მაგრამ უნდა აღვიაროთ, თუმცა, ეჭვი არ არის, მარქსი-კი წაუკითხავს, სრულიად ვერა გაუგია-რა მისი. ბოდიშს ვიხდი, რომ ასე თამამად ვლაპარაკობ, მაგრამ რა ვქნა? ვერ წინააღვუდგები იმ მცნებას, რომლის ძალითაც არისტოტელსაც და პლატონსაც-კი ჭეშმარიტება უნდა გერჩიოს.

დავიწყოთ ჩვენც იქიდამვე, საიდ განაც ბ-ნი ფ. მახარაძე იწყებს, ე. ი. ნატურალისტურ წარმოებიდამ. როდესაც მწარმოებელი ამზადებს ყველაფერს, რაც მისთვის საჭიროა. თავისთვის მოჰყავს პური, თავისთვის იქსოვს, თავისთვის იკეთებს სახლს, თავისთვის ამრავლებს ნახირს, ზრდის შინაურს ფრინველს და სხ. და სხ., ამას ჰქვია ნატურალისტური წარმოება. შეიძლება მწარმოებელი რამდენიმე დღე თავისთვის მუშაობდეს, დანარჩენი ბატონისთვის, შეიძლება ბატონს მეტად ბევრი მიჰქონდეს მისი ნაღვაწევი, არც ეს უშლის საქმეს, წარმოება მაინც ნატურალისტური რჩება. წმინდა ნატურალისტური წარმოება სუფევდა მაშინ, როდესაც აღებ-მიცემობა თითქმის არ არსებობდა, და იქნება მაშინ, როდესაც აღებ-მიცემობა მოისპობა, თუმცა მომავალი ნატურალისტური წარმოება ძლიერ განსხვავებული იქნება, ცხადია, წარსულისაგან.

მაგრამ თითქმის არ ყოფილა ისეთი დრო, რომ მცირეოდენი აღებმიცემობა არ ყოფილიყოს და მიწათმომქმედ საზოგადოებათა შორის ყოველთვის ყოფილა ცოტად თუ ბევრად აღებ-მიცემობა. ამ მიზნისათვის, რასაკვირველია, მაშინაც იყვნენ ვაჭრები, იყო, მაშასადამე, სავაჭრო კაპიტალი (თუმცა არა კაპიტალიზმი, ბ-ნო ფ. მახარაძევ), მაგრამ ვაჭრობა არ იყო უმთავრესი ძარღვი წარმოებისა. აუარებელი მცხოვრებლები ნატურალისტურის წარმოებით იკმაყოფილებდნენ ყველა თვისს მოთხოვნილებათა და, თუ ვინმე გაყიდდა ქირნახულს, მხოლოდ იმისთვის, რომ ან სამკაული რამე ეყიდნა, ან რამე ძვირფასი სახმარებელი ნივთი, რომელიც მყიდველის ქვეყანაში არ მზადდებოდა. ამგვარად სავაჭროს გაყიდვა მიტომ-კი არ იყო, რომ აღებულის ფულით ისევე სავაჭრო ეყიდნათ, გაეყიდნათ, არამედ რომელისამე პირდაპირის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მცხოვრებთა უმეტეს ნაწილისათვის ვაჭრობა ამ ფორმულით გამოიხატებოდა, მართლაც: საქონელი—ფული—საქონელი, რადგან საქონელი იყო ვაჭრობის მიზანი და არა ფული, მოთხოვნილების დაკმაყოფილება და არა ფულის მოგება.

აქამდის ბ-ნი ფ. მახარაძე გვეთანხმება, მაგრამ ამას იქით იგი ისეთს ისტორიულ ნახტომს აკეთებს, რომ გიკვირთ. მისი ფიქრით, ნატურალისტურ წარმოებას თან მოჰყვება უკვე კაპიტალისტური. მესათუება, რომ ბ. ფ. მახარაძემ არ იცოდეს ის, რაც ყველამ იცის, მაგრამ ასეთი მიუტევებელი შეცდომა თუ მოუვიდა, ეს მხოლოდ მისს დაუფიქრელობას უნდა მივაწეროთ. ეს მისი წერილის სათაურიდგანაც სჩანს.

დიაღ, ბ-ნო ფ. მახარაძე, ნატურალისტური წარმოებიდგან კაპიტალისტურამდის შორი მანძილია. და თქვენც კარგად უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ ამ ორ ფაზისს შორის შუა ალაგი ხელოსნობას (Ремесла) უჭირავს. როდესაც ხელოსნობა განვითარებული იყო ევროპაში, მაშინ ვაჭრობაც კარგად იყო განვითარებული. თუმცა ისე არა, როგორც კაპიტალიზმის დროს. ხელოსანს (Ремесленникъ) მაშინ უთუოდ უნდა

*) იხ. „ივერია“ № 146.

ვიცით, გორის საბჭოში უკანასკნელად რწმუნებულად ამორჩეულთაგან ბევრმა უარი განაცხადა ვადამდე და არ ისურვა თავისის მოვალეობის აღსრულება, რის გამოც აუცილებლად საჭირო ხდება ახალ რწმუნებულთა არჩევანის დანიშვნა.

*** ჩვენ მივიღეთ მეთერთმეტე გამოცემა ი. ს. გოგებაშვილის „დედაენისა“. ტექსტი წიგნისა უცვლელად არის დაბეჭდილი. ანბანის ბოლოში ჩართული აქვს ესრედ წოდებული „სურათები—დედნები“, რომელნიც შეიცავენ ასამდის ცალკე საგნების სახეს და ოც-და-თექვსმეტს რთულ სურათს. გამოცემა კარგს ქაღალდზედ დაბეჭდილია, სურათები ნათლად გამოხატული. ყდიანად წიგნი ღირს ორ აბაზად. უყდოთ ეს გამოცემა აღარ გაიყიდება.

*** ქუთაისიდამ გვწერენ: გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ზოგიერთთა ტფილისის ქართული თეატრის არტისტების მოქმედებას პროვინციებში. ჩვენ ყოველთვის მოხარული ვიქნებით, თუ ჩამოვლენ და თავიანთი ხელოვნურის თამაშით გვასიამოვნებენ, მაგრამ საუბედუროდ, ამას ვერ ვეღირსენით. ერთი-ორი კარგი არტისტი მოვა და დანარჩენი-კი ვიღაც ბიჭ-ბუჭები, რომელთ ალაგი სცენაზე კი არა სამიკიტნოებშია. ამის გამო რომ ჩამოსული დასი ამ გვარად შემდგარია, ვერც რეპერტუარს ახერხებენ და თამაშობენ ისეთ პიესებს, რომელთ წყალობით მაყურებელს ზიზღი მოსდის ქართული თეატრისა. ამას წინად აქ გვეწვია ქ. საფაროვისა და ვ. აბაშიძე. რამ აიძულა ეს ორივე ცნობილი და ნიჭიერი არტისტი, რომ ერთი უხამსო და ყოვლად მწერლობის დამამცირებელი ნაწარმოები, როგორიც არის თამაზაშვილი პიესა „ვეფხის-ტყაოსანი,“ ითამაშეს. ნუ-თუ ამ დიდი სახელით სურდათ მარტო შემოსავალი მეტი ყოფილიყო და საზოგადოება-კი თუ რას იფიქრებდა, ან როგორ შეწუხდებოდა ამგვარი „სოჩინენიის“ მოსმენით, ამაზედ-კი სრულებით არ დარდობდნენ ჩვენი არტისტები?

თქვენ წარმოიდგინეთ, სადაც საფაროვისა და აბაშიძე ამგვარად ამასხრებენ ქართულს პიესებს, მწერლობას და თეატრს—სხვები რას არ უნდა ჩადიოდნენ პროვინციებში. ვინც არა გნებავ თარტისტის სახელს ირქმევს და საზოგადოების მოძღვრებას აპირებს. ყველა გადამწერს და სემინარიის მეორე კლასიდამ უნიჭობისათვის გამორიცხულს თავისითავი როსი და სალვინად მიაჩნია! როდის გადავრჩებით ყველა ამას და ვინ არის, ან რომელია, რომ შეეძლება ჩვენში ამგვარს სიხეპრეს, თავხედობას ბოლო მოუღოს.

*** ამ დღეებში ტფილისიდამ გაგზავნილ იქმნა კონსტ. თავართქილაძის სტამბაში ერთი ხელთ-ნაწერი წიგნი, სახელდობრ „მეფე ერეკლეს სახალხო გმირები“, რომლებიც მეფეს ყოველთვის გარს ახლდნენ; ამ გმირებმა 1795 წ. ომში დიდად ისახელეს თავი გმირობით და იგინი იმავე ომში გაბრიელ მაიორთან დაკეპილ იქმნენ მტერთაგან. ეს წიგნი ამ წლის სექტემბრამდის უნდა დაებეჭდა კ. თავართქილაძეს, რადგანაც წელს ასი წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც ეს გმირები დაიხოცნენ. ახლა გვწერს კ. თავართქილაძე, რომ ხსენებული ხელთ-ნაწერი წამღებლებს გზაში დაჰკარგვიათ, თუ მოუპარავთ ვიღაცეებს და ამიტომ ითხოვს გამომცემელი, რომ ვისაც ეს ხელთ-ნაწერი აღმოუჩნდეს, იმან ეს დაუბრუნოს ან თვითონ გამომცემელს და ან ერთ-ერთს ქართულის გაზეთის რედაქციაში წარმოგზავნოს.

*** დ. სუჯუნა, (სენაკის მაზრა): ექვსი თვეა, რაც მამასახლისის არჩევაში ვართ. არ იქნა და ვერ ამოვირჩიეთ. ხალხი შეწუხდა, არჩევანების გამო მუშაობას სცდება.

*** სად. ხმელკა (თერგის ოლქი): ჩვენში წელს კაი მოსავალი მოვიდა, მხოლოდ ყანები ცოტათ დაგვიზარალა რაღაც ახლად გაჩენილმა მწერმა. ეს მწერი ხარაბუზას მიეგვანება.

მცხოვრებლებს ყელ-ჭირვება დაერია და ბევრიც იმსხვერპლა. ფიქრათაც არ მოგვდის ვიღონოთ რამე ამ სენის მოსასპობლად,

## კორესპონდენცია.

—

**თელავი**, 8 ივლისი. დღეს, სადამოს ექვს საათზედ, თელავში ჩამოვიდა ჩვენი ქართული თეატრის არტისტი-ქალი კნ. ავალოვისა, რომელსაც აქაური ქართველი ახალგაზდობა ეტლებით მიეგება სოფ. ვარდის-უბნის შემოსავალში. აქედგან ერთად გაემგზავრნენ თელავისაკენ. ეტლებს წინ მიუძღოდა ცხენიანი შეიარაღებული კაცი და ისე შემოვიდნენ ქალაქში, სადაც კნ. ავალოვისათვის მომზადებული იყო წინათვე კარგად მოწყობილი ოთახი სასტუმრო „Кахетія“-ში. კნ. ავალოვისა თანა დახმარებით, ქ.ქ. დიდებულიძისა, გალუსტოვისა და ბ.ბ. შათიროვისა, გამყრელისა და მარჯანოვისა გამართავს ჩვენს ქალაქში, როგორცა სჩანს აფიშებიდგან, მხოლოდ სამს წარმოდგენას. პირველად იქნება წარმოდგენილი ამა თვის 11-ს 4 მოქმ. კომედია „უბრალოდ დასჯილნი“ გადმ. ბ. მაჭავარიანის მიერ.

ამბობენ აგრეთვე, რომ ამ მოკლე ხანშივე უნდა გვეწვიოს ქნი საფაროვა-აბაშიძისა, რომელსაც ჰსურს თურმე რამდენიმე წარმოდგენის გამართვა ქ-ნის კახიძისა და ბ-ნ გამყრელიძის მონაწილეობით. რა არის მიზეზი ჩვენის არტისტების ორ დასად განაწილებისა, ჩვენ არ ვიცით; მხოლოდ კარგი-კი იქნებოდა ჩვენთვის, პროვინციელებისათვის, რომ ყველანი ესენი ერთად გვენახა ჩვენს სცენაზედ.

ერწოელი.

## მიწათ-მოქმედთა საყურადღებოდ.

დიდის თანაგრძნობით ვეგებებით ჩვენს ახალ სამეურნეო ამხანაგობათა, როგორც, მაგალითად, ღვინის ამხანაგობას კახეთში, დეპოს მაჩხაანში და მეაბრეშუმეთა ამხანაგობათა ქვემო იმერეთში და გურიაში. ეს ფაქტები ამტკიცებენ, რომ ქართველთა ერთი ნაწილი იღვიძებს, წარმატების გზისაკენ, ლიტერატურა ვალდებულია მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას და მიისწრაფება მიიღოს თავის მხრივ მონაწილეობა.

რებაში.

ჩვენის ფიქრით, თვითოეული ამგვარი ამხანაგობა უნდა სცდილობდეს, რაც შეიძლება მეტი წევრი შეიძინოს. ავიღოთ, მაგალითად, მეაბრეშუმეთა ამხანაგობა. როდესაც ეს ამხანაგობა წელში გაიმართება და კარგი მუშაობა ექნება, იგი ადვილად შეიძლებს, თავის წევრებად გარდააქციოს გლეხების დიდ-ძალი რიცხვი. მას შეუძლია წილის (пай) გადახდის ვადა ღარიბ გლეხთათვის გრძელი გახადოს, შეუძლია აგრეთვე, როდესაც გლეხისაგან პარკს იყიდის, პარკის ფასში წვრილ-წვრილად ურიცხოს წილისფული, და სხ. რასაკვირველია, ყველა გლეხების წილის პატრონებად გარდაქცევა შეუძლებელია, მაგრამ, ამხანაგობათა დამაარსებელთა თავისი მეცადინეობა არ უნდა მოშალონ, რომ, რაც შეიძლება, მეტი გლეხი გახადონ თავის ამხანაგებად. და ეს მარტო გლეხთათვის კი არა, თვით ამხანაგობათათვისაც ძლიერ სასარგებლო იქმნება.

სასურველია აგრეთვე, რომ ამგვარი ამხანაგობანი მოიფინებოდნენ საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში, რომ ის მოძრაობა, რომელიც დაიწყო, ალაგობრივი, შემთხვევითი არ ყოფილიყოს, არამედ ყველგან გავრცელებულიყოს.

მნიშვნელობა ამგვარ ამხანაგობათა დიდი და მრავალ ფერია. შეიძლება ყველამ ვერ ისარგებლოს მათის ნაყოფიერ მოქმედებით, მაგრამ ერის ნახევარმა, მესამედმა, თუნდ მეოთხედმაც რომ ისარგებლოს და დაუმარცხებელი დარჩეს ამ საშინელს ბრძოლაში არსებობისათვის, იმასაც დიდი მნიშვნელობა ექმნება ქართველის ერისათვის.

ბევრ სხვა და-სხვა მატერიალურ და გონებრივ სარგებლობის გარდა, ამ ამხანაგობათ შეუძლიანთ, ჩემის ფიქრით, ერთი დიდ-მნიშვნელოვანი საქმე შეასრულონ, სახელდობრ, ამერიკული ვაზების გაშენება ფილოქსერისაგან დაზიანებულს სოფლებში. ამხანაგობებმა რომ ერთი ნაწილი თავის მოგებისა ამერიკული ვაზების გასაშენებლად გადსადვან, — რასაკვირველია, როცა მათი საქმე ფეხზედ დადგება — რომ იმერეთში კვლავ ვენახები აღადგინონ, მარტო ეს იკმარებს, რომ სამარადისოდ დაუვიწყარი შეიქმნას მათ დამაარსებელთა სახელი შთამომავლობისაგან. და ეს დიდი საქმე მხოლოდ ამხანაგობებს შეუძლიანთ. თვითოეულ გლეხს არ შეუძლია შორეული მოგების იმედით იშრომოს, მიწა მოაცდინოს; ამხანაგობებისათვის-კი ეს ძლიერ ადვილიც იქმნება და ძლიერ სასარგებლოც, რადგან ვენახი ერთი ასად დააჯილდოებს მათს დანახარჯს.

ამხანაგობათაგან ვენახების გაშენებას ერთი დიდი მნიშვნელობა ექნება კიდევ, სახელდობრ: მევენახეობა შეიქმნება კოოპერატიული საქმე და არა კერძო, როგორც ახლაა, და ამიტომ შრომის მწარმოებელი ძალა ძლიერ გაუმჯობესდება.

---

ეყიდნა მასალა თავის ნახელოვნების მოსამზადებლად და მერე თავის შრომის პროდუქტი (ნაწარმოები) უნდა გაეყიდნა და აღებული ფულით ისევ ეყიდნა ცალ-კერძ ისევ მასალა, საქონლად გადასაკეთებელი, და ცალკერძ ყველაფერი, რაც საჭირო იყო მისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ხელოსანს ჰყავდა შეგირდები. იგი იმათ ნაკლებ ჯილდოს აძლევდა, ვიდრე მათგან იძენდა, ე. ი. იყო მათი ექსპლოატატორი. მაგრამ კაპიტალისტი მაინც არ ყოფილა. რატომ? მიტომ, რომ არ არსებობდა მატერიალური პირობები წარმოების გასადიდებლად. როდესაც წარმოება და აღებ-მიცემობა ჯერ კიდევ იმდენად განუვითარებელი იყვნენ, რომ მუშათა შორის თითქმის არ იყო კოოპერაცია და თვითეული მუშა ამზადებდა მთელს ნაწარმოებს სხვებთან გაუნაწილებლად, შეუძლებელი იყო თვითოეულ სახელოსნოში წარმოება გადიდებულიყო, რადგან ერთ კაცს, ცალკე, მხოლოდ განსაზღვრული საქმე შეუძლია აასრულოს. ამიტომ ხელოსანი ყოველ წელიწადს იგივე ხელოსანი იყო, იმავე სიმდიდრის პატრონი. მისი წარმოება არ იზრდებოდა, ყოველ წელიწადს ერთსა და იმავე საქონელს ამზადებდა. რა ფასის იარაღებითა და მასალითაც იწყებდა საქმეს შარშან, იმ ფასის იარაღებით და მასალით წრეულს და შემდეგ. მაშასადამე, ხასიათი სახელოსნო წარმოებისა იყო ის, რომ ეს წარმოება თვითოეულ სახელოსნოში არ დიდდებოდა. ამ დროს, თუმცა უფულოდ არ შეიძლებოდა სახელოსნო წარმოება, მაგრამ ფულისა, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ღირებულობის ზრდა არ იყო შესაძლებელი, და არ იყო ამიტომ მიზანი წარმოებისა. პირ-იქით, მიზანი ისევ პირდაპირი იყო, ე. ი. მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ასე რომ სახელოსნო წარმოებას მთლად შეეფერება ეს ფორმულა: საქონელი—ფული—საქონელი.

მაგრამ სახელოსნო წარმოება უკვე მიახლოვებული იყო კაპიტალისტურთან. თუმცა ხელოსანთა ამქრობა ძლიერ ცდილობდა ყოველი კონკურენცია მოესპო ხელოსანთ შორის და საზღვრავდა კანონებით, ვის რამდენი, როგორი და რა საქონელი უნდა მოემზადებინა, მაგრამ ქიშპობა, კონკურენცია მაინც თავისას შვრებოდა და აუმჯობესებინებდა ხელოსანს წარმოებას. ამგვარად სახელოსნო წარმოება ჰგავს კაპიტალისტურს ორი თვისებით: 1) მით, რომ ყოველის ნაწარმოების მასალებს ყიდულობს მწარმოებელი და 2) ხელობა თან-და-თან უმჯობესდება, თან-და-თან წინ-და-წინ მიდის. აქ უნდა აღვიაროთ, რომ ყველგან ამგვარი თვისება არა აქვს ხელოსნობას. მე მაქვს სახეში მხოლოდ ევროპიული ხელოსნობა საშუალო საუკუნოებში. თუმცა ევროპაშიაც ნელის ნაბიჯით, დიდის თან-და-თანობით ხდებოდა სახელოსნო წარმოების ცვლილება, გაუმჯობესება. ხელოსნობამ არ იცოდა ის დიდი ცვლილებები, რომელნიც უცებ შევარდებიან ხოლმე წარმოებაში, სცვლიან მას, ჰქმნიან ხოლმე პერიოდულად სამრეწველო რევოლიუციებს. ამგვარი პ[illegible]დული უცებური ცვლილე[illegible]ი განსაკუთრებული თვისება კაპ[illegible]ლიზმისა.

კაპიტალისტური წარმოება იწყება მაშინ, როდესაც შინაგანი პირობები ხელოსნობისა და აღებ-მიცემობა იმდენად განვითარდნენ, რომ მატერიალურად შესაძლებელი და მოგების მხრივ სასარგებლო შეიქნა მუშათა კოოპერაცია სახელოსნოში. კაპიტალისტს რომ წარმოება არ გაეუმჯობესებია თავის სახელოსნოში, ე. ი. რომ კოოპერაცია და შრომის განაწილება მოეხდინა, ვერაფერს ვერ მოიგებდა, რადგან შრომის მწარმოებელი ძალა, ნაყოფიერება, ისე მცირე იქნებოდა, რომ, რასაც ხელოსნები გააკეთებდენ, თითქმის ყველაფერი ისევ მათ მოუნდებოდათ ხარჯად. როდესაც კოოპერაცია და შრომის განაწილება შემოვიდა თვითეულ სახელოსნოში, მაშინ საქმე გაიაფდა, ამიტომ სახელოსნო, ანუ, უკეთ ვსთქვათ, სამანუფაქტურო, მუშებს უფრო მცირე ღირებულება, მაშასადამე, მცირე ფული სჭირდებოდათ თავისს სხვა-და-სხვა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მით უფრო, რომ ახალი სახელოსნო მუშები ძლიერ ჩამოუვარდებოდნენ ძველ ხელოსნებს თავისს მოთხოვნილებათა განვითარებით. გასაკვირალიც არ იყო. წინად, როდესაც ხელოსანს მთელი რამე ნივთი უნდა გაეკეთებია, მას ესტეტიური მხარეც და გონებაც მეტი უნდა ჰქონოდა: მთელი ნივთი მხოლოდ მთელი, კაცური კაცისაგან შეიძლებოდა გაკეთებულიყო. ახლიკი, როდესაც შრომის განაწილება დაარსდა, თვითოეულს კაცს მცირე წვრილმანი რამე შრომა მიუჩინეს. მაგალითად ნემსების კეთების დროს ერთს მხოლოდ წვრილი ჯოხები გამოჰყავდა, მეორე სჭრიდა, მესამე ყუნწს ხვრეტდა, მეოთხე წვერს უწვეტავდა და სხ. ადამ-სმიტსა აქვს მშვენიერად დასურათებული ეს ხელობა, და ყუნწის ხვრეტას, წვერის წვეტას ანუ წვრილის ჯოხების ჭრას ხომ გონება თითქმის არ ეჭირვება. დამტკიცებულია რომ მეთვრამეტე საუკუნეში მანუფაქტურებზედ იდიოტებს ამუშავებდნენ. და ცხადია, რომ რაც უფრო უბრალო, დაბალ გონებიან მუშებს აიყვანთ, იმდენად უფრო იაფად დაგიჯდებათ მათი დაქირავება. ამას გარდა დამტკიცებულია, რომ, რაც უნდა ნიჭიერი იყოს კაცი, თუ ისეთი მარტივი საქმე მიუჩინეთ, როგორც დასახელებული საქმეები, მას გონება დაუჩლუნგდება, არ განუვითარდება, იგი იქნება მხოლოდ კაცის ნაწილი, ისე როგორც მისი ხელობა შეადგენს მხოლოდ ერთი რომელისამე ხელობის ნაწილს. ყველა ამის შესახებ მკითხველი ნახავს გენიოსურ ფურცლებს (Страницы) მარქსის „კაპიტალში“.

მაშასადამე, როდესაც სახელოსნო გადიცვალა მანუფაქტურად, მოხდა ორი დიდი ცვლილება. [1]) მწარმოებელმა ძალამ, ანუ ნაყოფიერებამ შრომისა ძლიერ აიწია კოოპერაციისა და შრომის განაწილების გამო. ამ მხრივ დიდი გავლენა იქონია კონკურენციამ, რომელიც ამქრულ შევიწროებისაგან იქმნა განთავისუფლებული. 2) თვით ეს შრომის განაწილება იყო მიზეზი, რომ უწინდელი ხელოსანი უბრალო მუშად გარდაიქცა, უწინდელი მთელი კაცი მესამედ კაცად და ამიტომ მისმა მოთხოვნილებამ ძირს დაიწია. და რადგან თითქმის ყველაფერი, რაც-კი საჭირო იყო მუშის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, გაიაფდა და მეორე მხრით, ეს მოთხოვნილებაც

[1]) „იხილე მეორე ტომი მარქსის კაპიტალისა.

ხოლო განვიმეორებთ, თუ ამხანაგობანი არ ეცადნენ, რომ, რაც შეიძლება მეტი რიცხვი გლეხებისა გახადონ თავისს წევრებად, მაშინ იგინი გარდიქცევიან ხალხის მძარცველებად, როგორც ახლანდელი ჩარჩები, რასაც ჩვენ, რასაკვირველია, ვერ ვუსურვებთ.

ერთი რამე მსურს კიდევ ვურჩიო ქართველ მეურნეებს და ვკითხო ჩვენს აგრონომებს. მე წამიკითხავს, რომ ლობიოს მცენარე ჰაერიდან პირ-და-პირ ითვისებს ერთს ელემენტს, რომელსაც აზოტი ჰქვია და რომელიც ძლიერ ანაყოფიერებს, ასუქებს მიწას. ეს აზოტი იკრიბება ლობიოს მცენარის ტანში და ფესვში და, როდესაც მცენარე ლპება, ეს ნაყოფიერი ნივთიერება მიწის ნიადაგს ერთვის და ასუქებს და, ამგვარად, ნაკელის მაგიერობას შვრება. ჩვენში აქვთ ჩვეულება, ლობიოს ძირიანად ამოთხრიან ხოლმე დასაცეხვად. ამგვარად ამ მცენარის ტანი და ფესვი ტყუილად იკარგება. ვკითხავ აგრონომებს, აჯობებს, რომ მემამულემ ცოტაოდენი ჯაფა გასწიოს, თვითოეულ მცენარეს ცალკ-ცალკე ააცილოს კირწები პარკებითურთ და ფესვი და ტანის უმეტესი ნაწილი ყანაში დასტოვოს, რომ დალპეს და მიწა გაანაყოფიეროს?

ვ. წ.

---

## ევფრატის და იმერხევის გათათრება. თამარ მეფე და ევფრატის ტაძარი.

(ნაამბობი ევფრატელ ცეცხლაძისაგან).

თამარ მეფის შემდეგ გავიდა რამდენიმე ხანი და ოსმალთა საქართველო აიღეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ქართველთ გათათრება დაუწყეს. უკანასკნელ გათათრეს აჭარელნიც და გაუთათრებელი დარჩა მაჭახელი და იმერხევი. უკანასკნელ ოსმალებმა აქაც მოჰკიდეს ხელი და დაუწყეს მაჭახლელთა და იმერხეველებს გათათრება. იმერხევის ხალხი და შავშეთი ადვილად გათათრებულან, მაჭახელს კი ბევრი უბრძოლია და უჩხუბნია, მთელი მაჭახელი გაწყვეტილა ბრძოლაში. ბოლოს ესენიც გაუთათრებიათ და გათათრების შემდეგ აქ განწესებულან ხოჯა-მოლები და ჯამეები გაუკეთებიათ. ეკლესიების ქცევა-ნგრევაც შემოუღიათ. ახალ გათათრებულთ დიდად დაუვედრებიათ ოსმალთათვის, რომ ევფრატის ეკლესიას ნუ დააქცევთ, მაგ ეკლესიის შესახებ ჩვენის ძველებისაგან წყევლა-კრულვა არის დატოვებული, თუ ვინმე მას დააქცევსო. ოსმალთ თხოვნა შეუსმენიათ, ევფრატის ეკლესია არ დაუქცევიათ, მხოლოდ ეკლესიის კარები დაუკეტიათ. თუმცა ხალხი გათათრებულა, მაგრამ პირველ ხანებში დღესასწაულ დღეებს ხალხი ამ ეკლესიას არ ივიწყებდა, მიდიოდნენ და შიგ სანთლებს ანთებდნენ და ლოცულობდნენ. ნამეტურ ლოცულობდნენ მოხუცებულნი. ეს ამბები აქაურ ახალ მოლა ხოჯებს სტამბოლის მთავრობისთვის უცნობებიათ. იქიდგან ბრძანება მოსულა, რომ ეგ ეკლესიაც დააქციეთ და ხალხსაც გამოუცხადეთ, რომ იქ ფეხი სალოცავად არავინ შედგასო. მალე ხალხი შეკრიბეს და გამოუცხადეს. ხალხმა მიუგო:

— ჩვენის ძველებისაგან ანდერძათ გვაქვს დატოვებული, რომ ეს ეკკლესია არავინ უნდა დააქციოს, ვიდრე თავისით არ დაიქცევა.

— არ შეიძლება, რაც გებრძანათ, უნდა ასრულოთ, ევფრატის ეკკლესია უნდა დააქციოთ, უბრძანეს ოსმალთ.

— ვინც მას წერაქვს და ბარს დაჰკრავს, იმას მაშინათვე ხელები მოსწყდება და გაქვავდება. კარჩხალი და გვანცადულა იწივლებს, იქ ქართველი დევები მარხიან, თამარ მეფის საფლავიც „თავ კალოზეა“ ისინი ადგებიან და ჩამოვლენ ჩვენ შესარცხვენათ, ჩვენ გავქვავდებით. ოსმალთა მაინც არ ქმნეს და ძალას ატანდნენ, რომ ეს ეკკლესია თვით ქართველთა ხელით დაქცეულიყო და მით დარწმუნებულიყვნენ ესენი, რომ მის დაქცევით არაფერი მოხდება. ხალხს მეტად ძალა დაატანეს, შეაწუხეს, მოაბეზრეს წვალებით. ბევრნი ახლად გათათრებულნი მოხუცნი ქალნი და კაცნი მწარედ სტიროდნენ და ქვითინებდნენ, ხმა მაღლა ჰყვიროდნენ.

— ევფრატს აქცევენ ღმერთო, ევფრატს აქცევენ, ღმერთო. მაშინ ეკლესიას ევფრატს უწოდებდნენ და არა ეკლესიას.

ამის დაქცევის გულისთვის დიდი ძალი ხალხი გაწყდა. ბევრმა თავი მოიკლა, რომ მე არ მხვდეს ევფრატის დაქცევაო. უკანასკნელ რომ ვეღარა მოაგვარეს რა, ოსმალთ ასე განუცხადეს თანხმობაო.

— ჩვენ თქვენი ერთგულნი ვართ და მუჰამედისა. ჩვენ როგორც ერთგულნი მოგახსენებთ და გთხოვთ, რომ ამ ეკკლესიას ჩვენ დავაქცევთ, შევასრულებთ ბრძანებას, მხოლოდ ნება მოგვეცით, რომ მარჯვენა კედლის მცირე რამ კედელი არ დავაქციოთ, სადაც ჩვენს მამებს გამოჩენილი ღმერთის საკვირველება უნახავთ.

ოსმალთ ნება მოუციათ და ქართველთ დაუქცევიათ ევფრატი, მხოლოდ დაუტოვებიათ ის კედელი, სადაც თამარ მეფეს ნათლის შუქი დაუნახავს, ეს კედელი დღევანდლამდის დგას დაურღვეველი. შემდეგ დროებში ამ კედლის დაქცევაც განუზრახავთ, რადგანაც ამ კედლის გვერდით შეიყრებოდნენ ხოლმე მოხუცებულნი და ხან ტიროდნენ ცრემლებით და ხან ლოცულობდნენო, ახალგაზდა ქართველ თათრებმა-კი არაფერი იცოდნენ მისი და ყოველთვის გაკვირვებით უმზერდნენ თავიანთ დედ-მამის ტირილსაო. ამ 30—40 წლების წინად აქ ყოფილან ისეთი მოხუცებულნი, რომელთაც კარგად ხსომებიათ ეს ამბები. და ამ 5 წლის წინად გარდაცვალა ევფრატისაკენ ჰიჭინოლის (ჰიჭინაძე) მოხუცი დედა, რომელსაც კარგად ხსომებია ეს ამბები და თვითაც ხშირად ულოცნია ხოლმე ამ კედლის გვერდით. ევფრატის დაქცევის დროს ქართველ მაჰმადიანებს თავიანთის შვილებისთვის წყევლა-კრულვა დაუდვიათ, რომ ამ ეკკლესიის ქვები არავინ გაზიდოს აქედამაო და სახლების საკეთებლად არ იხმაროსო. შთამომავლობას მტკიცედ შეუნახავს ძველების სიტყვა და იქიდამ არავის რა წაუღია. მთელი ეკკლესიის კედლის ქვები იქვე ერის, ზოგი ერთ ბელტოებს სამი ოთხი საჟენი სიგრძე სიგანე აქვთ. ამ ეკკლესიის სამრეკლოსთვის ხელი არ უხლიათ. სამრეკლო აღმოსავლეთის კარის წინ ყოფილა და ქვეშ გასავლელი იყოო. სამრეკლო დაუქცევიათ უკანასკნელ ომის დროს, ასე 1877 წ., რადგანაც აქ გიაურები მოვლენ და ამის ძალით ჩვენც გაგვაქართველებენო. უწყიან, რომ მაშინ რამდენიმე კაცმა გაბედა აქედამ ქვების წაღებაო. ერთი კაცი ავათ გახდა და მოკვდა, მისმა შვილებმა თავიანთ სახლიდამ გამოიღეს აქედამ წაღებული ქვები და ისევ უკან მოიტანესო, გარდა ამისა ცხვარი დაუკლეს და ხალხს დაურიგესო.

ამ ეკკლესიის რამდენიმე ქვა ამ სოფლის მამასახლისს ტყაბორიძეს წაუღია და თავისის სახლის კედლების შენების დროს შიგ ჩაუტანებია. ერთს ქვას ქართული ნაწერები ჰქონია. ეს კაცი დღესაც ცოცხალია და ამბობს, რომ ზოგიერთი ქვები, რომლებსაც ნაწერები აქვს, აქვე ეკკლესიის გვერდით ყრიან, მხოლოდ ერთობ ძირს არიან მოქცეულნი, ასე რომ მათ ზემოდ 2—3 საჟენი ქვები და კედლის ლოდები ყრიაო. 1893 წელსაც განუზრახავთ აქაურებს ქვების გაზიდვა, მაგრამ შიშის გამო ვერ გაუზიდნიათ.

ეკკლესია სხალტის ანუ ტფილისის ანჩხატის ეკკლესიის გეგმით ყოფილა გაკეთებული. 5 საჟენი სიგანე ჰქონია და 7—8 საჟენი სიგძე. ეს ცხადად სჩანს დღევანდლამდე დაშთენილ საძირკველის კედლებიდამ. აქვე უწყიან, რომ ძველად იტყოდნენ ხოლმე, ამ ეკკლესიის ნივთები და ფული აქვე ეკკლესიის ქვეშ მიწაში მარხიაო; ყველა ესენი გათათრების დროს ჩვენს ძველებს მიწაში დაუმარხავთ, რადგანაც შინებიათ, რომ ოსმალებმა არ მოგვტაცონო. ეკკლესიის გვერდით ძლიერ ბევრი სახლები ყოფილა ძველად, ამ სახლების კედლები დღევანდლამდე სჩანს. უკანასკნელ ომის დროს აქ ყოფილა 80 კომლი ქართველ მაჰმადიანებისა, ომის შემდეგ იმათგან 72 კომლი ოსმალეთში გადასახლებულა და აქ დარჩენილა მხოლოდ 8 კომლი. დღეს ეს რვა კომლი 14 კომლია.

კარჩხალის მთის ქედ-ქედ არის ერთი დიდი მთა, რომელსაც ნინო-წმიდა ეწოდება. ძველათ აქეთ საცა-და ეკკლესია თუ მონასტერი ყოფილა, რომელსაც სახელად ნინო-წმიდა რქმევია. ამ ეკკლესიის სახელ-წოდების გამო მთასაც ნინო-წმიდა დარქმევია. პირველ გათათრების დროს ეს ეკკლესიაც მთლად დაუქცევიათ. არსად ერთი ქვაც აღარ დარჩენილა. დღეს ამ მთას ქართველ მაჰმადიანები ინაწმიდის მთას უწოდებენ და იმასაც უწყიან, რომ ძველად იქ ეკკლესია იყო და ხალხი სცხოვრებდაო. გათათრების დროს ხალხი დაუხოციათ და ვინც დარჩენილა, ისინიც აქეთ-იქით სოფლებში გ[illegible]ქცეულან. ფიქრი არ უნდა, რომ ეს სწორეთ ასეც იქნებოდა. ხალხის გარდმოცემით თამარ მეფეს თუ კარჩხალის მთაზე ცხოვრება დიდად უყვარდა, მაშასადამე იგი ამ საყვარელ

---

ძლიერ დამდაბლდა, მუშის ქირამაც ძირს დაიწია.

ზემოდ ვსთქვით, რომ კაპიტალისტს მოგება მუშის შრომისაგან აქვსთქო. ვსთქვათ სახელოსნოში შეგირდი დღეში 12 საათი მუშაობდა, აქედგან 10 საათის შრომა ისევ შეგირდს სჭირდებოდა მის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და ორი საათის ნაშრომი ალას მიჰქონდა მუქთად. ვსთქვათ ეს ორი საათის ნაშრომი ისე მცირე რამეს შეადგენდა, რომ ალას იგი ვერ გაამდიდრებდა, მაშინ ალა მუქთად გამორთმეულ ნაშრომს, რასაკვირველია, სიმდიდრის გასამრავლებლად არ შეინახავდა, არამედ რამე მოთხოვნილებაზე დახარჯავდა. მანუფაკტურაში-კი, როცა მუშას მხოლოდ მისი ექვსი საათის ნაშრომი ჰყოფნიდა, კაპიტალისტს თვითოეული მუშისაგან ექვს-ექვსი საათის ნაშრომი რჩებოდა. და ცხადია, რაც მეტი იქნებოდა მუშა, რამდენადაც უფრო ნაყოფიერი მათი მწარმოებელი ძალა და ნაკლები მ თი მოთხოვნილება, იმდენად მეტი იქნებოდა კაპიტალისტის მოგება. მაშასადამე, კაპიტალისტისათვის შესაძლებელი შეიქმნა ღირებულების, ფულისა, სიმდიდრის გამრავლება იქამდის, სადამდისაც-კი შეიძლება შრომის ნაყოფიერების გაუმჯობესება, მუშათა კოოპერაციის გადიდება და მუშის მოთხოვნილების დამცირება. თუმცა ეს მესამე საქმე ადვილი არ შეიქმნა, როგორც კაპიტალისტებს ეგონათ, მაგრამ პირველ ორს, ე. ი. შრომის მწარმოებელი ძალის გაუმჯობესებას და მუშათა კოოპერაციის გადიდებას ხომ საზღვარი არა აქვს. მაშასადამე, შესაძლებელი შეიქმნა სიმდიდრისა, ანუ ღირებულების ზრდა უსაზღვროდ. სიმდიდრე სიმდიდრისათვის, ღირებულება ღირებულებისათვის, ფული ფულისათვის: აი მიზანი კაპიტალიზმისა, ფული—საქონელი—გადიდებული ფული—საქონელი—კიდევ გადიდებული ფული, აი მისი ფორმულა. ფორმულის შემოკლებისათვის ვუწოდოთ ფულს ფ და საქონელს ს. მაშინ მივიღებთ ფორმულას: $ფ—ს—ფ_1—ს_1—ფ_2—ს_2—ფ_3$.... და ამ გვარად, სადაც $ფ_3$ მეტია $ფ_2$-ზე და $ფ_2$ მეტია $ფ_1$-ზე[1]) და აგრეთვე $ს_1$ მეტია ს-ზე, $ს_2$—$ს_1$ ზე, $ს_3$—$ს_2$-ზე და სხ.

აი ამ ფორმულის მნიშვნელობა ვერ გაუგია ბ-ნ ფ. მახარაძეს. მისი ფიქრით კაპიტალიზმი მარტო მით განირჩევა უმდაბლეს წარმოებათაგან, რომ ფულის მოგება აქვს სახეში. მაგრამ განა თუ ხელოსნები ფულს არ იგებდნენ. დიაღ, იგებდნენ, მაგრამ ძლიერ მცირეს და ამიტომ, რასაც მოიგებდნენ, მაშინვე ხარჯავდნენ. კაპიტალიზმი მით განირჩევა სახელოსნო წარმოებისაგან, რომ მას არა თუ ფულის მოგება აქვს მარტო სახეში, არამედ ამ მოგების თან-და-თან გადიდება, უსაზღვრო ზრდა. და ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს. იქ, სადაც კაპიტალიზმია, ჩვენ ვხედავთ მუდმივ ზრდას წარმოებისას, საქარხნო თუ საფაბრიკო მუშათა გამრავლებას, დიდ ქალაქებს, განვითარებულ ტეხნიკას, მეცნიერებას, ბრძოლას კაპიტალისტებსა და მუშებს შორის და სხ. და სხ. სადაც არც ერთი ეს არ არის, სადაც წარმოება არ იცვლება და არ იცვლება ამასთანავე არაფერი, რაც წარმოების ცვლილებას შედეგად მოსდევს, იქ კაპიტალიზმი არ არის. აი ამიტომ ვამბობდი მე, რომ ჩვენში კაპიტალიზმმა მხოლოდ პირველი ნაბიჯი შემოდგა და რომ კაპიტალიზმს ჯერ კიდევ ვერ დაუძლევია ჩვენში წარმოების ძველი წესითქო. და რადგან, ბ-ნ ფ. მახარაძეს სხვა გვარად ესმის, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, არ ესმის თვისება კაპიტალიზმისა, ამიტომ ხედავს იგი ჩვენში უკვე ნამდვილ კაპიტალისტურ წესწყობილებას. ამავე მიზეზის გამო იგდებს საცინლად ბ ნ ჯიბლაძე ფაბრიკების გრიალს.

ამგვარად კაპიტალიზმი იქ არის მხოლოდ, სადაც ეგრედ წოდებული მკეთებელი მრეწველობაა (обработывающая промышленность) განვითარებული. ამ მრეწველობაში გამოიხატა უმთავრესად შემოქმედებითი ძალა ევროპის გენიოსობისა, ამ მრეწველობამ შეჰქმნა ეხლანდელი მეცნიერება, ეხლანდელი ქალაქები, ეხლანდელი პოლიტიკა, ყველა ის, რითაც თამამად ამპარტავნებს მეცხრამეტე საუკუნე. მკეთებელი მრეწველობაა სიმდიდრე ევროპისა, ის იარაღი, რომელმაც კაცის მუსკულების მაგიერი ადვილი დაიჭირა და უქმი გაჰხადა მძიმე შრომა, რომელმაც ამიტომ უნდა მოსპოს კლასსთა ბრძოლა და რომელიც არის, მაშასადამე, საფუძველი კაცობრიობის მომავალის ბედნიერებისა. მაშინა, ფაბრიკა—აი ის, რამაც შეჰქმნა მთელი ახალი ისტორია, უნდა განათავისუფლოს კაცობრიობა ბოლოს დაუსრულებელის შფოთვისაგან და ბძოლისაგან და დაამყაროს ქვეყანაზედ სიყვარული და თანასწორობა. და ამ მაშინა!, მის გრიალს საცინლად იგდებენ!

თქვენ ბრძანებთ, ბ. ფ. მახარაძე, ვითომც მე კაპიტალიზმი მტრად აღმეარებიოს, მაგრამ სცდებით. საბოლოოდ რომ კაპიტალიზმი გამაბედნიერებელია ქვეყნიერებისა, ამას ვინ უარ-ჰყოფ!! მაგრამ დღეს დღეობით-კი უცხო ქვეყნების კაპიტალი ჩვენ სულს გვხდის, გვაღარიბებს, გვასაწყლებს. რით? მით 1), რომ იგი სპობს შინაურს წარმოებას, როგორც ეს ჩინებულად დაამტკიცა ბ. ნიკოლაი-ონმა რუსეთზე, 2) მით, რომ უცხო ქვეყნების კონკურრენციის გამო პურისა და სიმინდის ფასი თან-და-თან კლებულობს და ჩვენ-კი უმთავრესად პურისა და სიმინდის გამყიდველები ვართ და 3) მით, რომ იმავე კონკურრენციის წყალობით ჩვენში არ ვითარდება მკეთებელი მრეწველობა. მაშასადამე, უცხო კაპიტალიზმმა შეუძლებელ-ჰყო ჩვენში კაპიტალიზმის განვითარება. თორემ, რომ კაპიტალიზმი განვითარდებოდეს ჩვენში, ვინ იუარებს? ნუ-თუ არ წაგიკითხავთ, ბ-ნო მახარაძე, ჩემს წერილში შემდეგი სიტყვები: ძალიან ადვილი წარმოსადგენია, რომ ჩვენ მადნებში გვამუშაონ და არა ფაბრიკებში.. „არავინ იფიქროს კი, რომ... ფაბრიკები დაგვიმართოს“ (ახალმა ეკონომიურმა საჭიროებამ)..., „ჩვენში კაპიტალიზმი არ არის-თქო, რომ ვამბობთ, ამით იმას-კი არ ვამბობთ, რომ ეს ჩვენთვის კარგია, გასახარელია თქო“ და სხ. დიაღ, ბ-ნო ფ. მახარაძე, მე ჩემს წინანდელს წერილში პირ და პირ აღვიარებ, რომ, თუ ჩვენს ქვეყანაში არ არის კაპიტალიზმი, ეს ჩვენთვის გასახარელი არ არის-თქო, პირ-იქით, ზემო-მოყვანილ სიტყვებიდგან ცხადად სჩანს, რომ ჩვენი კაპიტალიზმი მე ძლიერ სასარგებლოდ მიმაჩნია ჩვენთვის.

(შემდეგი იქნება).

უმშვენიერეს მთებზე რომელიმე ქართველ წმიდანის სახელზედ ეკკლესიას აღაგებდა და მით შეამკობდა. სჩანს, რომ თამარ მეფეს თუ სხვა ვინმე ქართველთ მეფეს აქ ნინო-წმიდის ეკკლესია ან მონასტერი უნდა აღეშენებიოს. ნინო წმიდის მთიდამ ერთი გზა შავშეთში გადადის და მეორე ლივანაში.

(შემდეგი იქნება).

ზ. ჭ.

## რუსეთის ცხოვრება.

ამას წინად სმოლენსკის საგუბერნიო კრებამ წარუდგინა მთავრობას შუამდგომლობა „როზგით“ დასჯის მოსპობის შესახებ. ახლა გაზეთი «სმოლენსკი ვესტნიკ»-ი იუწყება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხსენებული შუამდგომლობა არ შეუწყნარებია.

ქალთა მომავალის მედიკურის ინსტიტუტის დაარსებისათვის თავ-და-პირველად უნდა დაიხარჯოს 220,238 მან. და 63 კაპ.; ინსტიტუტს აქვს დღეს 576,490 მ. და ამიტომ განუზრახავთ ახლავ შეუდგნენ საჭირო შენობათა აგებას, რათა 1897 წლის 1 ივლისისათვის ყოველივე მზად იქმნეს.

## სტამბულოვის მკვლელობის შესახებ.

აი რას ამბობენ გერმანელი გაზეთები სტამბულოვის მკვლელობის შესახებ. გაზეთი „Post“-ი: „ეს ამბავი ერთობ ცუდს მომავალს უქადის ბულგარიას: ჩვენ ჯერ არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ბულგარიის პოლიტიკური მდგომარეობა მკვიდრს ნიადაგზედ იყოს დამყარებულიო“. ამ გაზეთის ფიქრით, სტამბულოვის მკვლელობის მიზეზად უნდა ჩაითვალოს უთანხმოება, რომელიც სტამბულოვსა და მთავრობის შორის სუფევდა.

„Kölniche Zeitung“-ი ფიქრობს, რომ სტამბულოვის მოკვლას ფერდინანდის ბედისთვის ცუდი შედეგი ექნებაო. „სტამბულოვი დიდი ხანი ელოდა ამ უბედურებას, — ამბობს გაზეთი ჯერ წინად არა ერთი შეთქმულობა იყო აღმოჩენილი მის წინააღმდეგ და ერთის თვის წინად მის მოკვლამდის იგი ეუბნებოდა ხოლმე მნახველთ, რომ კიდევ გაჩნდნენ ჩემის მოკვლის მსურველი შეთქმულებიო. საუბედუროდ, სტამბულოვს გარდა ბევრიც კიდევ სხვა არის ასეთს საშიშარს მდგომარეობაში“. Berliner „Tageblatt“-ი: „ფერდინანდს ჩვეულებად აქვს, როდესაც ბულგარიის საქმეები საშიშს მდგომარეობაშია, თითონ საზღვარ-გარეთ სცხოვრებს ხოლმე. სტამბულოვი აპრილშივე ეუბნებოდა ჩვენს კორესპონდენტს, რომ მოკვლას მპირებენო; მაგრამ ვინ იფიქრებდა, თუ ერთად-ერთი კაცი, რომელმაც ბულგარია ფეხზე დააყენა, თავის თანამემამულეთაგან იქმნებოდა მოკლული. სტამბულოვის მოკვლა ცხადად ამტკიცებს, რა გავლენა აქვთ ახლა კიდევ რუსებს ბულგარიაში; ამ გამოჩენილის პოლიტიკური მოღვაწის მოკვლისათანავე გაჰქრა უკანასკნელი დაბრკოლება რუსეთის ბულგარიასთან შერიგებისა; და აწ უნდა ველოდეთ, ერთად-ერთი რუსეთის გავლენა ლა იქმნება რუსეთში.

National geitung: „15 ივლისი ბნელით მოცულ დღედ უნდა ჩაითვალოს ბულგარიის ისტორიაში სტამბულოვის მკვლელობით ბულგარიამ სასიკვდილოდ გასწირა თავისი თავი. არაფერს საშუალებას არ დაერიდნენ, რომ უწინდელი დიქტატორი მოეშორებიათ თავიდგან. დანიშნეს გამოძიება; მაგრამ, სტამბულოვს, სანამ ცოცხალი იყო, შეეძლო თავი დაეფარა, იქნება ბევრი რამეც ეუქვა ისეთი, რაც მთავრობისთვის სასიამოვნო არ იქნებოდა... მაშასადამე, სტამბულოვი უნდა მომკვდარიყო. და აი, ამიტომ, როდესაც სტამბულოვს ექიმებმა ურჩიეს საზღვარ-გარეთ წასვლა წყლებზე, მთავრობამ წასვლის ნება არ მისცა. მაგიერად თვით ფერდინანდი წავიდა საზღვარ გარეთ; სპირიტს-კი შეუძლია იფიქროს, რომ ფერდინანდი სტამბულოვის გულისთვის წავიდა კარლსბადის წყლების სასმელად, მაგრამ ბულგარიის გარდა მთელს ქვეყნიერობას გაუკვირდება, რომ ასეთ არეულობის დროს პრინცი საზღვარ-გარეთ იმყოფება... თუმცა მკვლელნი შემცდარნი არიან. მათი საზიზღარი მოქმედება არავის თანაგრძნობას არ გამოიწვევს.“

## შესაწევარი.

რედაქციამ მიიღო ისაკ ძნელაშვილისაგან არტისტის ვლ. ალექსი-მესხიშვილის სასარგებლოდ შეკრებილი 10 მან. ისაკ. ძნელაშვილი 1 მ., ალბეს ყიფიანი 1 მ., ნესტორ თავდუმაძე 50 კ., უგვარო 50 კ., ლარიბაშვილი 50 კ., პავლე ბაძამია 50 კ., ალექსანდრე კვინიხიძე 50 კ., გიორგი ლეპარტიანი 50 კ., ვანო ბუაშვილი 50 კ., გიორგი დარახველიძე 50 კ., არსენა ვერულეიშვილი 50 კ., გიორგი ურმანაშვილი 50 კ., ვანო რაკვიაშვილი 50 კ., ვიქტორ ლეჟავა 50 კ., ილიკო კოპალეიშვილი 30 კ., ი. ქავჟავაძე 40 კ., გიორგი ხეთაგური 40 კ., თევდორე ვაცაძე 30 კ., სანდრო სულაკველიძე 30 კ., სულ დანარჩენმა 40 კ., ჯამი 10 მ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

12 ივლისი.

**პეტერბურგი**, 12 ივლისი. იმპერატორმა კეთილ ინება — დარჩეს პირველ საპატიო წევრად კატორგით დასჯილთა და გარდასახლებულთა ოჯახების დამხმარებელს საზოგადოებისა.

**რომი**, 11 ივლისი. გამოცხადდა პაპის ეპისტოლე ბელგიელთ ეპისკოპოსთა მიმართ, რომელშიაც პაპი კათოლიკეთ უხსნის სოციალურ რეფორმების საჭიროებას.

**სოფია**, 11 ივლისი. სტამბულოვის პარტიის წინამძღოლობა პეტკოვმა იკისრა.

პეტერბურგის ბირჟა, 11 ივლისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | — „ | 7,40 |
| 5°/₀. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 210 |
| 4½°/₀ გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | 100⅜ | — „ | — „ |
| 6°/₀ ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა | 101 | — „ | — „ |
| 5°/₀ იმავე ბანკისა . | 99½ | — „ | — „ |
| 6°/₀ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . | 101½ | — „ | — „ |
| 5°/₀ იმავე ბანკისა . | 99½ | — „ | — „ |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99⅝ | — „ | — „ |

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ფ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი **ა. ი. სოროკინ შჩერბინინისა**, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი**. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ი. ფ. პროტასევიჩი**, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო**. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის — მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიციისა ნავასარდიანი.**

(857—1468)

დაიბეჭდა და ისყიდება
**ისტორია**
მართლ-მადიდებელის ეკკლესიისა
ეკკლესიათა განყოფამდე.
გ. პ. პობედონოსცევისა
თარგმნილი
**მღ. ი. ჯავაშვილის მიერ.**
ფასი სამი აბაზი.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ზემოხსენებულს მღვდელს (ნიკ. ქუჩა, სახლი № 72) და „წერა-კითხვისა“ და „ქართველთა ამხანაგობის“ მაღაზიას. (1—3).

საყოველთაოდ მაღებული თურქულის წინააღმდეგ და განზედ სასმელი მალამო
**„სპორტი“**
ამხანაგობის ფაბრიკისა.
**რ. კელერისა და ამხ.**, მოსკოვში.
ისყიდება **ყველგან** და **ყველა** დიდ აპტეკებთან. (2—24—1)

**უმაღლესად** დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.

**დამზღვევი საზოგადოება**
**„როსსია“**
ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.

მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან
საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება:

**დაზღვევა სიცოცხლისა**
მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:

1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუგეშოდ ოჯახისა და სხვა);
2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);
3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.)

მოარულით სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**
როგორც კერძო კაცისა, ისე საერთო, საამხანაგო, ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა;

**დაზღვევა ცეცხლისაგან**
ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

**დაზღვევა ტრანსპორტებისა,**
ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 3) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევი ბილეთები მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ რკინის გზის სადგურებზედ: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, და გემეუწოდაასადგურებზედ. 50—6—37

**დამზღვევი საზოგადოება**
**„იაკორი“**
(ღ უ ზ ა)
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს
გარდა სათადარიგო ფულისა.

**დაზღვევა ცეცხლისაგან.**
მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასალ-წამოსაღების საქონლისა.

**დაზღვევა სიცოცხლისა.**
ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვერდს პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც — 10,000 მ.

წერილობითიგანცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში (100—721—»)